

კლინიკური შემთხვევა №9  
37 წლის მამაკაცი, ფილტვის ტუბერკულოზით

კლინიკური შემთხვევა №9  
37 წლის მამაკაცი, ფილტვის ტუბერკულოზით - ანალოზი



11 დეკემბერი, 2012

პირველი ვიზიტი ოჯახის ექიმთან

პირველადი ჯანდაცვის ქსელს მიმართა 37 წლის მამაკაცი, რომელსაც ანამნეზში ბოლო ერთი თვის განმავლობაში აღენიშნებოდა პროდუქტიული ხველა, საერთო სისუსტე, ოფლიანობა და სუბფებრილური ტემპერატურა. დაახლოებით 1 წლის წინ ტუჩზე განვითარებული წანაზარდის გამო მას ჩაუტარდა სხივური თერაპია. პაციენტი იძულებით გადაადგილებული პირია და 5 წლის წინ კონტაქტში იმყოფებოდა ტუბერკულოზით დაავადებულ, ბაქტერიაგამომყოფ მამასთან.

ვიზიტისას ჩატარებული აუსკულტაციური მონაცემებით მარჯვენა ფილტვის პროექციაზე მოისმინებოდა შესუსტებული ვეზიკულური სუნთქვა.

გულმკერდის რენტგენოგრაფიით მარჯვნივ ლავიწვეშა მიდამოში და V, VI ნეკნთაშუა არეში აღინიშნებოდა საშუალო ინტენსივობის არაჰომოგენური ჩრდილი განათების უბნებით. ფილტვის კარში ორმხრივად დაფიქსირდა გაკირული კვანძები.

ანამნეზის და ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე რამდენად საეჭვოა ტუბერკულოზი?

ერთი თვის განმავლობაში გახანგრძლივებული პროდუქტიული ხველა, საერთო სისუსტე, ოფლიანობა და სუბფებრილური ტემპერატურა ტუბერკულოზზე საეჭვო ნიშნებია. მოცემული პაციენტის შემთხვევაში ეჭვი ტუბერკულოზზე კიდევ უფრო გაამყარა ტუბერკულოზის განვითარების ისეთმა რისკ-ფაქტორებმა, როგორებიცაა ოჯახური კონტაქტი ტუბერკულოზით დაავადებულ მგბ(+) პირთან, ანამნეზში სხივური თერაპია და ლტოლვილობასთან დაკავშირებული არადამაკმაყოფილებელი კვების და საცხოვრებელი პირობები. ტუბერკულოზზე მიაწინებდა პაციენტის რენტგენოლოგიური მონაცემებიც.

## 12 დეკემბერი, 2012

### რეფერალი ფთიზიატრთან

ანამნეზში დაფიქსირებული ტუბერკულოზზე საექვო ნიშნების და რისკ-ფაქტორების, ასევე ტუბერკულოზზე მიმანიშნებელი რენტგენოლოგიური სურათის საფუძველზე ოჯახის ექიმმა პაციენტი ტუბერკულოზზე საექვოდ მიიჩნია და ფორმა 100-ით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფთიზიატრის კონსულტაციაზე გააგზავნა.



### რამდენად დროული იყო რეფერალი ფთიზიატრთან?

ოჯახის ექიმმა პაციენტი სწორად მიიჩნია ტუბერკულოზზე საექვოდ და პირველად ჯანდაცვის ქსელში ვიზიტიდან მეორე დღესვე მიმართა ის ფთიზიატრთან, თუმცა ფთიზიატრიული ქსელის მხრიდან ამ პაციენტთან შესაძლებელი იყო უფრო დროული გამოვლენის უზრუნველყოფა. კერძოდ, ვინაიდან პაციენტი კონტაქტში იმყოფებოდა ტუბერკულოზით დაავადებულ მგბ(+) მამასთან, ის ჯერ კიდევ კონტაქტისას ინფორმირებული უნდა ყოფილიყო ცხოვრების მანძილზე ტუბერკულოზით დაავადების რისკ-ფაქტორების შესახებ. პაციენტს უნდა სცოდნოდა, რომ სხვიური თერაპია გაზრდიდა მასთან ტუბერკულოზის განვითარების რისკს და საექვო ნიშნების გამოვლენისთანავე, და არა 1 თვის შემდეგ, მიემართა ექიმისათვის.

## 19 დეკემბერი, 2012

### დიაგნოზის დადგენა ფთიზიატრიულ ქსელში

პაციენტმა ტუბკაზინეტს იმავე დღეს (12.12.12) მიმართა, მაგრამ ბაქტერიოსკოპიული კვლევისათვის ჩააბარა მხოლოდ პირველი ულუფა ნახველი. მეორე დღეს პაციენტი მეორე ულუფა ნახველის ჩასაბარებლად ტუბკაზინეტში აღარ მივიდა.

17 დეკემბერს პაციენტს განუვითარდა სისხლიანი ხველა, რის გამოც ის იძულებული გახდა კვლავ მიემართა ტუბკაზინეტისათვის და დაესრულებინა გამოკვლევები.

ფთიზიატრიულ ქსელში ჩატარებული ნახველის ნაცხის ბაქტერიოსკოპიული კვლევის საფუძველზე პაციენტთან 19 დეკემბერს დაისვა დიაგნოზი: მარჯვენა ფილტვის ინფილტრაციული ტუბერკულოზი რღვევის და მოთესვის ფაზაში, მგბ(+), „ახალი შემთხვევა“. პაციენტი აყვანილ იქნა აღრიცხვაზე, რის შესახებაც ოჯახის ექიმს ფთიზიატრიული ქსელიდან ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია.



### რამდენად სწორად მოხდა ტუბერკულოზზე საექვო შემთხვევის მართვა ფთიზიატრიულ ქსელში?

მიუხედავად იმისა, რომ პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან პაციენტის რეფერალი დროული იყო, ფთიზიატრიულ ქსელში ტუბერკულოზზე საექვო შემთხვევის დიაგნოსტიკას 1 კვირა დასჭირდა. მდგომარეობა სისხლიანი ხველით რომ არ გართულებულიყო, შესაძლოა მგბ(+) შემთხვევასთან ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის დაწყება კიდევ უფრო დაგვიანებულიყო. შესაბამისად ტუბერკულოზის დროული გამოვლენის, დაავადების ტრანსმისიის პრევენციის და ადექვატური მკურნალობის დროულად ინიცირების მიზნით ფთიზიატრიული ქსელის მხრიდან პაციენტთან ნებისმიერ ეტაპზე უფრო აქტიური კონტაქტი, მისი მეტად განსწავლა და ინფორმირება საჭირო.

სასურველია ასეთი პაციენტის შესახებ სრული ინფორმაცია ჰქონდეს პირველად ჯანდაცვის ქსელს. ოჯახის ექიმის და ფთიზიატრის მიერ მისი ერთობლივი განსწავლა და ინფორმირება შესაძლოა უფრო ეფექტური იყოს.



ტაბაკაულოზის  
პრევენციის  
პროექტი

